თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6258677

ნომერი: AR1939744

თარიღი : 14.12.2022

გაცემის თარიღი : 21.12.2022

გაცნობის თარიღი : 21.12.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , II და III მიკრო/რაიონს შორის , (ნაკვეთი 06/071);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლუკა ჩაგანავა პ/ნ 01017043074
- სავანელის #18

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2022 წლის 14 დეკემბრის №AR1939744 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 14 დეკემბერს №AR1939744 განცხადებით მომართა ლუკა ჩაგანავამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 18

ნოემბრის №6214496 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 18 ნოემბრის №6214496 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, II და III მიკრო/რაიონს შორის, (ნაკვეთი 06/071)-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.08.006.642), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2022 წლის 02 დეკემბრის №6233650 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 02 დეკემბრიდან 2025 წლის 02 ივნისის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2022 წლის 18 ნოემბრის №6214496 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 7054.9 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 7051.2 კვ.მ., კომერციული ფართობი: 161.0 კვ.მ-ის ნაცვლად 175.8 კვ.მ. საზაფხულო ფართობი: 1316.9 კვ.მ-ის ნაცვლად 1315.9 კვ.მ. ავტოსადგომის ფართობი 2376.0 კვ.მ-ის ნაცვლად 3056.4 კვ.მ. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა, დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ გეგმებზე დატანილი საცხოვრებელი ფართობის ჯამური მაჩვენებელი და მოთხოვნის ტექსტში დაფიქსირებული ამავე ფუნქციის ფართობის მაჩვენებელი ერთმანეთთან შეუსაბამოა. ამასთან, საცხოვრებელ ფართობებში შეყვანილია კოლონების ფართები. აღნიშნული ფართობი დათვლილ უნდა იქნას შიდა კონტურზე, კოლონების ფართობის გარეშე. გარდა ამისა, წარმოდგენილი გეგმებით, იცვლება კომერციული ფართობი, რაც იწვევს დაკავებულობის ზრდას. აღნიშნული არ წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას. გარდა ამისა, ავტოსადგომის ფართობში არ უნდა იქნას შეყვანილი კოლონების და შახტების, ასევე პანდუსების ფართები. საჭიროა, ავტოსადგომის გეგმებზე განსხვავებული ფერით იქნას მონიშნული ის ფართები, რომლებიც შედის ავტოსადგომების ფართში. გარდა ამისა, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილება გამოიწვევს საერთო ფართობის ცვლილებასაც.
აქვე, განგიმარტავთ, რომ სამყოფისათვის ფართობი განისაზღვრება მის შემომსაზღვრელ კედლებს შორის არსებული იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობით, მათ შორის არსებული საყრდენი კედლებისა და კოლონების ფართობის გარეშე (ბინის ფართობში არ იანგარიშება ასევე საყრდენ კედლებში და ბინის შემომსაზღვრელ კედლებში არსებული ღიობები, ბინაში არსებული იატაკის სხვადასხვა დონეების დამაკავშირებელი შიდა კიბე და მისი ბაქანი).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია.
აქედან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია შესწორებული დოკუმენტაციისა და ინფორმაციის წარმოდგენა.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაევალოს განმცხადებელს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში:
1.1 დააზუსტოს მოთხოვნა საცხოვრებელ, კომერციულ, ავტოსადგომების და საერთო ფართობებთან დაკავშირებით.
1.2 წარმოადგინოს სამსახურის 2022 წლის 18 ნოემბრის №6214496 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმების იდენტური არქიტექტურული გეგმები, ფართობების გასწორებით, გეგმარების ცვლილების გარეშე.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2022 წლის 14 დეკემბრის №AR1939744 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge